პროლეტარიატის ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

КОМУНИСТИ

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სამშაბათი, 14 დეკემბერი, 1943 წ. № 257 (6882). ფასი 20 კაპ.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

12 დეკემბრის ოპერაციული ცნობა

12 დეკემბრის განმავლობაში კიროვოგრადის მიმართულებით ჩვენი ჯარები ეწოდნენ შეტევითს ბრძოლებს, რომელთა მსვლელობაშიც დაიკავეს დასახლებული პუნქტები ანდრეევკა, ნოვო.-ნიკოლაევკა, მაზურკოვკა.

კრემენჩუგის დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა, გასტეხეს რა მტრის წინააღმდეგობა, დაიკავეს კიროვოგრადის ოლქის რაიონული ცენტრი ქალაქი ჩიგირინი, აგრეთვე დაიკავეს დასახლებული პუნქტები ბუშინი, ტიუნკი, ბალაგანოვკა, ჩერნეჩა, ხერსონკა.

მალინის სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები ეწოდნენ ბრძოლებს მტრის ქვეითი ჯარისა და ტანკების წინააღმდეგ, რომელთა მსვლელობაშიც განდევნეს იგი რამდენიმე დასახლებული პუნქტიდან.

ფრონტის სხვა უბნებზე ზვერვა და საარტილერიო-სანალმტყორცნო სროლა.

11 დეკემბრის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 66 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 37 თვითმფრინავი.

ქალაქ და რკინიგზის კვანძ ზნამენკის დაკავებისას ჩვენმა ჯარებმა ხელთ იგდეს შემდეგი ტროფეები: 94 ტანკი და ჯავშანმანქანა, 152 ქვემეხი, 373 ტვივიმფრქვევი, 120 ნაღმსატყორცნი, 52 ჯავშანტრანსპორტიორი, 684 ავტომანქანა, 453 საზიდარი სამხედრო ტვირთიანად, 420 მოტოციკლი და ველოსიპედი, 22 საწყობი ხაომარ მასალიანად, საწვავიანად და სურსათიანად.

13 დეკემბრის ოპერაციული ცნობა

12 დეკემბრის განმავლობაში კიროვოგრადის მიმართულებით ჩვენი ჯარები ეწოდნენ შეტევითს ბრძოლებს, რომელთა მსვლელობაშიც რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს.

კრემენჩუგის დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა დასძლიეს მტრის წინააღმდეგობა და დაიკავეს მასი თავდაცვის გამაგრებული პუნქტები — ადამოვკა, კოჟარკი, გუშჩევკა, იანიჩი, ვდოვინ ხუტორი.

მალინის სამხრეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ ბრძოლებს მოწინააღმდეგის ქვეითის ჯართან და ტანკებთან, რის შედეგადაც გაიუმჯობესეს პოზიციები.

ფრონტის სხვა უბნებზე ზვერვა და საარტილერიო-სანალმტყორცნო სროლა.

12 დეკემბრის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 35 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 24 თვითმფრინავი.

* * *

კიროვოგრადის მიმართულებით ჩვენი ჯარები შეტევის განაგრძობდნენ. მოწინააღმდეგემ, რომელიც ცდილობს შეაჩეროს საბჭოთა ნაწილების წინსვლა, ტანკებით რამდენიმე კონტრიერიში მოიტანა. ჩვენმა არტილერისტებმა და ჯავშანმტვრევლებმა, ტანკისტებთან თანამშრომლებით, დააზიანეს და დასწვეს მტრის 11 ტანკი და აიძულეს გერმანელები უკან დაეხიათ. გვარდიის 5 შენაერთის ნაწილებმა დასძლიეს მტრის წინააღმდეგობა, წინ წაიწიეს და დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი. ამ პუნქტებისათვის ბრძოლებში მოსპობილია 600 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, 12 ქვემეხი და 2 ჯავშანტრანსპორტიორი.

მფრინავი-გამანადგურებლები გვარდიის ლეიტენანტი ბოევსკი და გვარდიის ლეიტენანტი კალინინი, რომლებიც მოწინააღმდეგის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე მოქმედებდნენ შეხვდნენ გერმანელთა თვითმფრინავს „ფოკე-ვულფ-189". გვარდიის ლეიტენანტმა ბოევსკიმ იერიში მიიტანა მტრის თვითმფრინავზე და ჩამოაგდო იგი. ბრძოლის მსვლელობაში ბოევსკის თვითმფრინავი დაზიანდა და ეცეცხლი მოეკიდა. მფრინავი იძულებული გახდა ძირს დაშვებულიყო. გვარდიის ლეიტენანტმა კალინინმა მიაშველა მის დასახმარებლად. ის ძირს დაეშვა, დაეხმარა ბოევსკის აეფეთქებინა ცეცხლმოდებული მანქანა, ჩასვა თავისი ამხანაგი ფიუზელაჟში და აფრინდა. მალე მფრინავები მშვიდობით დაეშვნენ თავიანთ აეროდრომზე.

* * *

კრემენჩუგის დასავლეთით 5 შენაერთის ნაწილებმა წინ წაიწიეს და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს. მტერი განსაკუთრებით შეუპოვარ წინააღმდეგობას გვიწევდა დასახლებულ პუნქტ ადამოვკის რაიონში. 5 ნაწილის მებრძოლებმა, გაფთრებული ბრძოლის შედეგად, განდევნეს გერმანელები ამ გამაგრებული დასაყრდენი პუნქტიდან, ამასთან მოსპეს მოწინააღმდეგის 400-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი. სხვა უბანზე საბჭოთა ქვეკანაყოფლებმა ხელთ იგდეს გერმანელთა 10 ქვემეხი სამხარი მასალების საწყობი და აღალი სამხედრო ქონებიანად.

* * *

ქალაქ მალინის სამხრეთით გრძელდებოდა ბრძოლები მოწინააღმდეგის ტანკებთან და ქვეითს ჯართან. 5 შენაერთის უბანზე გერმანელებმა ზედიზედ 7-ჯერ მოიტანეს იერიში. ჩვენმა მებრძოლებმა ყველა იერიში მოიგერიეს, შემდეგ კი კონტრიერიშში მიიტანეს გერმანელებზე და გაიუმჯობესეს პოზიციები. მოსპობილია ერთ ბატალიონამდე ჰიტლერელი. დამწვარი და დაზიანებულია მტრის 6 ტანკი, 2 თვითმავალი ქვემეხი და 40-ზე მეტი ავტომანქანა. სხვა უბანზე გერმანელთა ტანკებისა და მეავტომატეთა ჯგუფი ჩვენი ნაწილის განლაგებაში შემოიჭრა. საბჭოთა ქვეგანაყოფებმა ჰიტლერელებს უკანდასახევი გზა გადაუჭრეს და გაფფრეთ ბრძოლაში გადეტეხნ ყსინი. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის 300-ზე მეტი გვამი, გერმანელთა 16 დამწვარი და დაზიანებული ტანკი და თვითმავალი ქვემეხი.

* * *

ჟიტომირის ოლქში მოქმედმა რამდენიმე გაერთიანებულმა პარტიზანულმა რაზმმა უეცარი თავდასხმით დაიკავა რკინიგზის ორი სადგური. ერთ სადგურში პარტიზანებმა მოსპეს ლიანდაგებზე მდგარი გერმანელთა 4 სამხედრო ეშელონი სამხედრო ტვირთიანად, ხოლო მეორეში ააფეთქეს მთელი სალიანდაგო მეურნეობა. გარდა ამისა, მოსპობილია 12 ორთქლმავალი, 300-მდე ვაგონი და აფეთქებულია ავიაბომბების დიდი საწყობი. საბჭოთა პატრიოტები 12 ღამეა ინარჩუნებენ ამ სადგურებს და ეწევიან ბრძოლებს გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებთან. ამ ხნის განმავლობაში პარტიზანებმა მოჰკლეს და დასჭრეს 400-ზე მეტი ჰიტლერელი.

* * *

გერმანელი ჯარისკაცები, რომლებიც ტყვედ ჩაგიგდეთ, იუწყებიან, რომ იზრდება მტრის ზურგში მოქმედი საბჭოთა პარტიზანების აქტივობა. გერმანიის 132-ე ქვეითი დივიზიის 436-ე პოლკის ეფრეიტორმა ჰანს დ-მა, რომელიც წითელი არმიის მხარეზე გადმოვიდა, განაცხადა: „გერმანელი სამხედრო ხელისუფლების ყველა ცდა, რომ გარსშემორტყმოდნენ პარტიზანებს და მოესპოთ ისინი, მარცხით დამთავრდა. ამ ცოტა ხნის წინათ პარტიზანულმა რაზმმა გაანადგურა გერმანელთა მე-16 არმიის 1-ლი საარმიო მოიერიმე ბატალიონი. ამ დღეებში ქალაქ პორხოვში აფეთქებულ იქნა შენობა, რომელშიც ოფიცრების თათბირი მიმდინარეობდა. შენობა მთლიანად მოსპობილია. აფეთქების დროს მოკლულ და დაჭრილ იქნა ბევრი გერმანელი ოფიცერი".

* * *

გერმანელთა 299-ე ქვეითი დივიზიის საარტილერიო პოლკის მე-8 ბატარიის ტყვე ობერ-ეფრეიტორმა რუდი ლუმმა განაცხადა: „ჩვენს პოლკს ბრძანება მოუვიდა გამოეცვალა ცეცხლითი პოზიციები. მარშის დროს ტყეში ჩვენ მოულოდნელად თავს დაგვესხნენ პარტიზანები. მათ ჩვენზე ყველა მხრიდან მოიტანეს იერიში. შეიქმნა წარმოუდგენელი პანიკა. ბატარიის მეთაურმა, ობერლეიტენანტმა გვიბრძანა აგვეფეთქებინა მატერიალური ნაწილი, მაგრამ გვიან-ღა იყო — ჯარისკაცებმა ყველაფერი დაჭყარეს და გაიქცა-გამოიქცნენ. ქვემეხების დაკარგვისათვის დასასჯელად სარდლობამ ჩვენ საჯარიმო ბატალიონში გაგვგზავნა".

გერმანელთა 480-ე უზრუნველყოფის ბატალიონის მე-3 ასეულის ტყვე ეფრეიტორმა ანტონ კელერმა განაცხადა: „ჩვენი ბატალიონი იცავდა რკინიგზას ვიტებსკის მახლობლად. მთელი ღამეების განმავლობაში ფეხზე ვიდექით. საგუშაგოებს განუწყვეტლივ პატრულობდნენ I-ლი სათვალთვალო კოშკურიდან შეორემდე, მაგრამ პარტიზანები მაინც აკეთებდნენ თავიანთ საქმეს. ერთი დღეც კი არ გავიდოდა ისე, რომ პარტიზანებს რელსები არ აეფეთქებინათ ან ეშელონები ლიანდაგიდან არ გადაეგდოთ. საერთოდ ივნაით ბედნიერებაა, მატარებლით რომ საოკუპაციო ტერიტორიაზე მშვიდობით გაიარო".

* * *

ქვემოდ ქვეყნდება აქტი ამ მხეცობის შესახებ, რაც გერმანელმა ფაშისტმა დამპყრობლებმა პოლესიეს ოლქის სოფელ ასარევიჩში ჩაიდინეს. „ოკუპაციის განმავლობაში გერმანელმა დამპყრობლებმა დახვრიტეს ჩვენი სოფლის ბევრი მცხოვრები. ფაშისტი ჯალათების ხელით დაიღუპნენ სტეპანიდა პროტასი და ორი მისი ქალიშვილი, ანდრია შევჩენკო, მართა შევჩენკო, მაღანია პლუშჩაი, ტატიანა პაციუკი, ივანე ცარანოკი, მინა ბელჩენკი და სხვა მცხოვრები. უკანდახევისას გერმანელებმა ძალით წაიყვანეს თან მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი. მცხოვრებთა მხოლოდ მცირე ნაწილმა მოახერხა ტყეებში დამალვა და ფაშისტური კატორღისაგან თავის დაღწევა. ჰიტლერელმა ბანდიტებმა დაწვეს 40-ზე მეტი სახლი, სკოლა, წისქვილი და საკომლეურნეო ნაგებობანი. მათ დაიტაცეს კოლმეურნეობისა და გლეხთა პირადი ქონება".

აქტს ხელს აწერენ სოფელ ასარევიჩის მცხოვრებნი: ი. აკულენკო, ი. ეფიმენკო, ვ. პროტასი, ვ. ჰაცუკი დ სხვანი.

ხელშეკრულების ხელმოწერა საბჭოთა კავშირსა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკას შორის მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის შესახებ

ამ უკანასკნელ ხანს სსრ კავშირის მთავრობასა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობას შორის სწარმოებდა მოლაპარაკება მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის ხელშეკრულების დადების შესახებ.

ეს მოლაპარაკება გულითადობისა და მეგობრული ურთიერთგაგების ატმოსფეროში მიმდინარეობდა და მას მოჰყვა ამა წლის 12 დეკემბერს ხელმოწერა მოსკოვში „ხელშეკრულებისა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკას შორის მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის შესახებ" და მასთან დართული ოქმისა.

ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის რწმუნებით საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ვ. მ. მოლოტოვმა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტის რწმუნებით ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა მოსკოვში ბ-ნმა ზდ. ფირლინგერმა.

ხელშეკრულების ხელმოწერას დაესწრნენ სსრ კავშირის მხრივ: ამხ. ი. ბ. სტალინი, ამხ. მ. ი. კალინინი, ამხ. კ. ე. ვოროშილოვი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. ა. ე. კორნეიჩუკი, სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობასთან ამხ. ვ. ზ. ლებედევი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი ამხ. ა. პ. პავლოვი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის IV ევროპის განყოფილების გამგე ამხ. ვ. ა. ზორინი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის ბეჭედი სტატუსის განყოფილების გამგე ამხ. ნ. გ. პალგუნოვი.

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მხრივ ხელშეკრულების ხელმოწერას დაესწრნენ: ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტი დ-რი ედ. ბენეში, პრეზიდენტის კანცელარიის უფროსი ბ-ნი ი. სმუტნი, ჩეხოსლოვაკიის საგარეო საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო სამსახურის უფროსი ბ-ნი ი. კრაუსი, ჩეხოსლოვაკიის არმიის გენერალ-ლეიტენანტი ა. ნიეგორსკი, პრეზიდენტის მეორე ადიტანტი, ჩეხოსლოვაკიის ხალხთა წინააღმდეგ საბჭოთა ომის ფრონტზე ბრძოლის ვეტერანი ბ-ნი ა. ბარტოშეკი, სარდალი ჩეხოსლოვაკიური ნაწილებისა სსრ კავშირში გენერალი ნ. ბრატოსლავი, ეროსის ჩეხოსლოვაკიის სამხედრო მისიის სსრ კავშირში ჰოლკოვნიკი გ. პიკა, ჩეხოსლოვაკიის საელჩოს დიპლომატიური თანამშრომლები ბ-ნი დ. ოუტრატა, ბ-ნი ლ. კლუჩკა და ბ-ნი ე. მარტინეკი.

ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ ამხ. მ. ი. კალინინმა და ბ-ნმა ედ. ბენეშმა სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

ქვემოთ ქვეყნდება ხელშეკრულებისა და მასთან დართული ოქმის ტექსტები.

ხელშეკრულება

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკას შორის მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა, სურთ რა მათ შესცვალონ და შეავსონ ურთიერთდახმარების ხელშეკრულება, არსებული სსრ კავშირსა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკას შორის, და ხელმოწერილი პრაღაში 1935 წლის 16 მაისს, და დაადასტუროს გერმანიის წინააღმდეგ ომში ერთობლივი მოქმედების შესახებ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობასა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობას შორის 1941 წლის 18 თვლისს ლონდონში ხელმოწერილი შეთანხმების პირობები; სურთ რა ხელი შეუწყონ ომის შემდეგ მშვიდობიანობის დაცვას და გერმანიის მხრივ შემდგომი აგრესიის თავიდან აცილებას და უზრუნველჰყონ მეგობრობა და ომისშემდგომი მშვიდობიანი თანამშრომლობა ერთმანეთს შორის, — გადაწყვიტეს დასდონ ამ მიზნით ხელშეკრულება და დანიშნეს თავიანთ რწმუნებულებად:

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა — ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი — საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი,

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა — ზდენეკ ფირლინგერი, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში,

რომლებმაც ერთმანეთს გაუცვალეს თავიანთი რწმუნებანი, რაც სრულ წესრიგში და სათანადო ფორმით შედგენილი აღმოჩნდა, და შეთანხმდნენ შემდეგში:

მუხლი 1.

ხელშეკრულების მონაწილე მაღალი მხარეები, შეთანხმდნენ რა ურთიერთ გაერთიანდნენ მუდმივი მეგობრობისა და მეგობრული ომისშემდგომი თანამშრომლობის, თანხმდებიან ერთმანეთს სამხედრო და სხვა დახმარება და ყოველნაირად მიეშველონ ერთი-მეორეს ახლანდელ ომში გერმანიის და ყველა იმ სახელმწიფოთა წინააღმდეგ, რომლებიც დაკავშირებული არიან მასთან ევროპაში აგრესიის აქტებით.

მუხლი 2.

ხელშეკრულების მონაწილე მაღალი მხარეები ვალდებულებას კისრულობენ არ დაიწყონ ახლანდელი ომის პერიოდში რაიმე მოლაპარაკება ჰიტლერულ მთავრობასთან ან გერმანიის რომელიმე სხვა მთავრობასთან, რომელიც აშკარად არ იტყვის უარს ყოველგვარ აგრესიულ ზრახვაზე, და ურთიერთთანხმობის გარეშე, არ აწარმოონ მოლაპარაკება და არ დასდონ რაიმე დროებითი ზავი ან საზავო ხელშეკრულება გერმანიასთან ან ევროპაში აგრესიის აქტებით მასთან დაკავშირებულ რომელიმე სხვა სახელმწიფოსთან.

მუხლი 3.

ადასტურებენ რა მშვიდობიანობისა და ურთიერთდახმარების თავიანთ ომამდელ პოლიტიკას, რაც გამოხატულია 1935 წლის 16 მაისს პრაღაში ხელმოწერილი მათი ხელშეკრულებით, ხელშეკრულების მონაწილე მაღალი მხარეები ვალდებულებას კისრულობენ, რომ ომ შემთხვევაში, თუ ერთი მათგანი ომისშემდგომ პერიოდში ჩაბმული აღმოჩნდებოდა საომარ მოქმედებაში გერმანიასთან, რომელიც განაახლებდა თავის პოლიტიკას „დრანგ ნახ ოსტენი", ან რომელიმე სახელმწიფოსთან, რომელიც გაერთიანდებოდა გერმანიასთან უშუალოდ ან რაიმე სხვა ფორმით ასეთ ომში, — ხელშეკრულების მონაწილე მეორე მაღალი მხარე დაუყოვნებლივ აღმოუჩენს ხელშეკრულების მონაწილე მხარეს, რომელიც, ამ გვარად, ჩაბმული იქნება საომარ მოქმედებაში, ყოველგვარ სამხედრო და სხვა დახმარებას და მიეშველება, რითაც კი შესძლებს.

მუხლი 4.

ხელშეკრულების მონაწილე მაღალი მხარეები, ითვალისწინებენ რა თითოეული მათგანის უშიშროების ინტერესებს, თანხმდებიან მჭიდროდ და მეგობრულად ითანამშრომლონ მშვიდობიანობის აღდგენის შემდეგ პერიოდში და იმოქმედონ მათი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტისადმი ურთიერთპატივისცემის, აგრეთვე მეორე სახელმწიფოს შინაურ საქმეებში ჩაურევლობის პრინციპების შესაბამისად. ისინი თანხმდებიან რაც შეიძლება უფრო ფართო მასშტაბებით განავითარონ თავიანთი ეკონომიური ურთიერთობა და ყოველგვარი შესაძლო ეკონომიური დახმარება აღმოუჩინონ ერთმანეთს, ომის შემდეგ.

მუხლი 5.

ხელშეკრულების მონაწილე თითოეული მაღალი მხარე ვალდებულებას კისრულობს არ შეკრას რაიმე კავშირი და მონაწილეობა არ მიიღოს რაიმე კოალიციაში, რაც კი მიმართული იქნება ხელშეკრულების მონაწილე მეორე მაღალი მხარის წინააღმდეგ.

მუხლი 6.

ეს ხელშეკრულება ძალაში შედის დაუყოვნებლივ, ხელმოწერისთანავე, და რატიფიცირებულ უნდა იქნას რაც შეიძლება მოკლე ხანში, სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა მოხდება მოსკოვში რაც შეიძლება მალე.

ეს ხელშეკრულება ძალაში რჩება ოცი წლის განმავლობაში ხელმოწერის მომენტიდან, ამასთან, თუ ხელშეკრულების მონაწილე ერთი რომელიმე მაღალი მხარე აღნიშნული პერიოდის — ოცი წლის დამლევს, ვადამდე თორმეტი თვით ადრე არ ვანაცხადებს, რომ მას სურს უარი სთქვას ხელშეკრულებაზე, იგი კვლავ დარჩება ძალაში შემდეგი ხუთი წლისათვის და, ასე ყოველთვის, მანამდე, სანამ ხელშეკრულების მონაწილე ერთი რომელიმე მაღალი მხარე მიმდინარე ხუთი წლის დამთავრებამდე თორმეტი თვით ადრე წერილობით არ გააფრთხილებს, მეორეს, რომ მას განზრახვა აქვს შესწყვიტოს მისი მოქმედება.

რის დასადასტურებლად რწმუნებულებმა ხელი მოაწერეს ამ ხელშეკრულებას და დასვეს მას თავიანთი ბეჭდები.

შედგენილია ორ ეგზემპლარად, თითოეული რუსულ და ჩეხოსლოვაკურ ენებზე. ორივე ტექსტს თანაბარი ძალა აქვს.

მოსკოვი, 1943 წლის 12 დეკემბერი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის რწმუნებით
ვ. მოლოტოვი

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტის რწმუნებით
ზ. ფირლინგერი

ოქმი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკას შორის მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის შესახებ 1943 წლის 12 დეკემბერს დადებული ხელშეკრულებისათვის

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკას შორის მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების დადებისას, ხელშეკრულების მონაწილე მხარეები შეთანხმდნენ, რომ იმ შემთხვევაში, თუ სსრ კავშირის ან ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მეორე ქვეყანა, რომელიც ამ ომში გერმანიის აგრესიის ობიექტი იყო, მოისურვებს შეუერთდეს ამ ხელშეკრულებას, მას შესაძლებლობა მიეცემა, სსრ კავშირის და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობათა ურთიერთთანხმობით, ხელი მოაწეროს ამ ხელშეკრულებას, რომელიც ამრიგად, მოიპოვებს ტრიპარტიტული ხელშეკრულების თვისებას.

ეს ოქმი შედგენილია ორ ეგზემპლარად, თითოეული რუსულ და ჩეხოსლოვაკურ ენებზე. ორივე ტექსტს თანაბარი ძალა აქვს.

მოსკოვი, 1943 წლის 12 დეკემბერი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის რწმუნებით
ვ. მოლოტოვი

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტის რწმუნებით
ზ. ფირლინგერი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. მ. ი. კალინინის სიტყვა

ბატონო პრეზიდენტო, მოგესალმებით თქვენ სახელით საბჭოთა კავშირის ხალხთა სახელით ჩვენს დედაქალაქში—მოსკოვში.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკას შორის მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის შესახებ დღეს დადებული ხელშეკრულება დიდმნიშვნელოვანი განძია გერმანული ფაშიზმის წინააღმდეგ და გერმანიის მხრივ ყოველგვარი ახალი აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლის ჩვენს საერთო საქმეში.

ჩვენი ხალხების ტრადიციული მეგობრობა, რამაც თავისი გამოხატულება ჰპოვა ჯერ კიდევ 1935 წ. 16 მაისს პრაღაში დადებული ურთიერთდახმარების ხელშეკრულებით და ვერმანიის წინააღმდეგ ომში ერთობლივი მოქმედების შესახებ ჩვენს ორ მთავრობას შორის 1941 წლის 18 ივლისს ლონდონში დადებული შეთანხმებით, ახლა განმტკიცებულია ახალი ხელშეკრულებით, რომელიც უმნიშვნელოვანესი ისტორიული ეტაპი იქნება ამ მეგობრობის განვითარებაში.

ჩვენს ხალხებსა და მსოფლიოს ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხებს შორის საბრძოლო თანამშრომლობის განმტკიცება გერმანული ფაშიზმისა და ევროპაში სისხლიან დანაშაულთა მხრივ ყველა მისი თანამონაწილის მოსპობის საქმის წარმატების საწინდარია.

ახლოვდება ჟამი სამაგიეროს მიზღვისა ჩეხოსლოვაკი ხალხის დაცინრებისა, ტანჯვისა, სისხლისა და ცრემლებისათვის; ჩეხოსლოვაკი ხალხის წამება და მუუხარება ახლო და გასაგებია ჩვენი ხალხისათვის, რომელიც თითონ განიცადა ჰიტლერელთა შემოსევის მთელი სიმძიმე და რომელმაც მოაწყო მძლავრი წინააღმდეგობა მტრისადმი და ახლა ბრძოლას აწარმოებს იმისათვის, რომ საზიზღარი დამპყრობლები სრულიად განდევნოს ყველა საბჭოთა ტერიტორიიდან.

საგულისხმოა აღინიშნოს, რომ ის, რაც ჩაწერილია ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ომში ურთიერთდახმარების ხელშეკრულებაში, უკვე ხორციელდება საქმით. ეს თანამშრომლობა განმტკიცებულია ჩვენი ხალხების შვილთა სისხლით, რომელნიც მხარდამხარ იბრძვიან ჩვენი საერთო გამარჯვებისათვის, მოკავშირეთა საქმის საერთო გამარჯვებისათვის.

ხელშეკრულება მკვიდრ საძირკველს უქმნის ჩვენი ხალხების ომისშემდგომ თანამშრომლობას და იმას, რომ აღიკვეთოს გერმანიის ყოველგვარი ცდები დაუბრუნდეს თავის ძველ მძარცველურ პოლიტიკას—„შეტევა აღმოსავლეთისაკენ" — „დრანგ ნახ ოსტენ". გერმანული იმპერიალიზმის ამ დამპყრობლურ პოლიტიკას ჩვენი ქვეყნების ხალხები მთელი თავიანთი ძალებით უნდა აღუდგნენ წინ.

ნება მომეცით ბატონო პრეზიდენტო, მოგილოცოთ თქვენ და თქვენს თანამშრომლებს დადება ხელშეკრულებისა, რომელიც მოწოდებული მრავალი წლის განმავლობაში ემსახურეს ჩვენი ხალხების დიად მომავალს.

მადლობას გიხდით თქვენი ღვაწლისათვის, რაც ესოდენ ბედნიერად დაგვირგვინდა ამ ხელშეკრულების ხელმოწერით.

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტის ბ-ნ ედ. ბენეშის სიტყვა

ბატონო თავმჯდომარევ, ბატონებო, მე მსურს გამოვთქვა თქვენდამი ღრმა კმაყოფილების გრძნობები ამის გამო, რომ ჩვენ დღეს შევეგლინთ ხელი მოგვეწერა ამ ხელშეკრულებისათვის, რომელიც მე უდიდესი მნიშვნელობის აქტად მიმაჩნია ჩვენს ნაციონალურ ისტორიაში და საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ურთიერთდამოკიდებულებაში. ამ ხელშეკრულებით დაგვირგვინდა ჩეხოსლოვაკიის მისწრაფება, რომელიც ოც წელზე მეტხანს არსებობდა და მიზნად ისახავდა დაეცვა ჩვენი ხალხი და სახელმწიფო გერმანული იმპერიალიზმისაგან. ჩვენი ხელშეკრულება ბუნებრივი ეტაპია ამ ომის მსვლელობაში, რაც მიმართულია მხეცური და მძარცველური გერმანული შოვინიზმის წინააღმდეგ, რომელიც ამ ომში უწინარეს ყოვლისა ისწრაფვოდა მოესპო მეზობელი სლავური სახელმწიფოები: ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი, იუგოსლავია და საბჭოთა კავშირი. ეს ხელშეკრულება ერთ-ერთი რგოლია მომავალი წყობილებისა, რომელიც კეთილმყოფელი იქნება ჩვენთვის და ყველა ჩვენი მოკავშირისათვის და ხელს შეუწყობს მშვიდობიანობის განმტკიცებას ევროპაში.

ნება მომეცით, ბატონო თავმჯდომარე, მადლობა გადაგიხადოთ თქვენ და ყველა საბჭოთა პოლიტიკურ და სამხედრო მოღვაწეს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ამ ხელშეკრულების განხორციელებაში. იგი, როგორც გუშინ უკვე ვთქვი, საიმედო საწინდარი იქნება ჩეხოსლოვაკიისთვის მისი საუკეთესო მომავლისა და საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხებთან მისი მჭიდრო პოლიტიკური, სამხედრო, ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობისა.

მოსკოვში ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტ ბ-ნ ედ. ბენეშის ყოფნის გამო

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტი დ-რი ედ. ბენეში, რომელიც მოსკოვში იმყოფება, გუშინ, 12 დეკემბერს, დაესწრო ოპერა „სნეგუროჩკას" წარმოდგენას დიდ თეატრში.

ცენტრალურ ლოჟაში იყვნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. მ. ი. კალინინი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. ვ. მ. მოლოტოვი, ბ-ნი ედ. ბენეში, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი ზდ. ფირლინგერი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. ა. ე. კორნეიჩუკი, სსრ კავშირის ელჩი ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობასთან ამხ. ვ. ზ. ლებედევი, ბ-ნ ედ. ბენეშის კაბინეტის უფროსი ბ-ნი ი. სმუტნი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის IV ევროპის განყოფილების გამგე ამხ. ვ. ა. ზორინი, უფროსი ჩეხოსლოვაკიის სამხედრო მისიისა სსრ კავშირში ჰოლკოვნიკი გ. პიკა და სხვები.

ბატარეაში მყოფნი ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ ამხ. მ. ი. კალინინს, ამხ. ვ. მ. მოლოტოვს და ბ-ნ ედ. ბენეშს. (საკვლისი).

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ბ-ნმა ედ. ბენეშმა ინახულა გერმანელებისათვის წართმეული საჭურველის ნიმუშების გამოფენა

მოსკოვში მყოფმა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა დ-რმა ედ. ბენეშმა გუშინ, 13 დეკემბერს ინახულა გერმანელებისათვის წართმეული (1941-43 წწ.) საჭურველის ნიმუშების გამოფენა.

ბ-ნ ედ. ბენეშს გამოფენაზე ახლდნენ: საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. ა. ე. კორნეიჩუკი, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი ზდ. ფირლინგერი, ბ-ნ ედ. ბენეშის კაბინეტის უფროსი — ბ-ნი ი. სმუტნი, ჩეხოსლოვაკიის საგარეო საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო სამსახურის უფროსი ბ-ნი ი. კრაუსი, ჩეხოსლოვაკიის ეროსის ჩეხოსლოვაკიის ეროსის ერო

დეპეშები

ამერიკული გაზეთი იუგოსლავიის ამბების შესახებ

ნიუ-იორკი, 11 დეკემბერი (საკდისი). გაზეთი „ბალტიმორ სუნი“ აცხადებს, რომ იუგოსლავიის ნაციონალური გათავისუფლების კომიტეტის შემადგენლობა, რომელშიაც შედიან როგორც ძველი გამოჩენილი პოლიტიკური ფიგურები, ისე უფრო ახალგაზრდა მოღვაწენიც, რომელნიც ახლანდელი ბრძოლის დროს დაწინაურდნენ, მოწმობს, რომ ხალხი ფართოდ უჭერს მხარს პარტიზანულ მოძრაობას. ეს მხარდაჭერა ნათლად სჩანს იქიდან, რომ „იუგოსლავიის თითქმის მთელი წინააღმდეგობა გერმანელების მიმართ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ორგანიზებული იყო ტიტოს არმიის მიერ“.

გაზეთი აღნიშნავს, რომ პარტიზანები მომხრენი არიან სერბთა, ხორვატთა და სლოვენთა თანასწორუფლებიანი ფედერაციისა იუგოსლავიაში, წინააღმდეგ სერბთა ბატონობის პოლიტიკისა, რასაც, როგორც ამტკიცებენ, ახორციელებს მიხაილოვიჩი კაიროში მყოფი მთავრობის მხარდაჭერით.

მდგომარეობა ჩრდილოეთ იტალიაში

ლონდონი, 12 დეკემბერი (საკდისი). ბას შემდეგ, რაც ჩაიფუშა მუსოლინის ყოველგვარი ცდა შეედგინა მთავრობა, იტალიის ოკუპირებულ ნაწილში სრული ადმინისტრაციული ქაოსი გამეფდა. ნომინალურად არსებული „ფაშისტურ-რესპუბლიკური მთავრობის“ ცენტრს წარმოადგენს ვენეციი. მაგრამ ამ „მთავრობის“ განკარგულებებს პროვინციული ხელისუფალნი არ ასრულებენ. კომომ, ვენეციამ და სხვა პროვინციებმა აკრძალეს ნედლეულისა და სასურსათო პროდუქტების გატანა მეზობელ ოლქებში.

ჟენევა, 12 დეკემბერი (საკდისი). გაზეთი „ჟურნალ დე ჟენევი“ იუწყება, რომ მილანის რაიონში მოქმედმა პარტიზანებმა ქალაქში შეაჭრეს არალეგალური ტრიბუნალი, რომელსაც განაჩენი გამოაქვს ფაშისტებისათვის და სისტემატურად მოჰყავს იგი სისრულეში. ფაშისტებს იმდენად ეშინიათ ამ ორგანიზაციებისა, რომ ვერ ბედავენ მარტოდ გამოსვლას ქუჩაში.

მოკავშირეთა ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 12 დეკემბერი (საკდისი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ ამერიკის ოვითმფრინავთა დიდი შენაერთები 11 დეკემბერს თავს დაესხნენ ემდენს. მიტანილ იქნა იერიში სანავსადგურო და სხვა ნაგებობებზე. საჰაერო ბრძოლებში ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 117 თვითმფრინავი. ამ ოპერაციიდან არ დაბრუნებულა ამერიკის 20 თვითმფრინავი.

ემდენი არის გერმანიის საზღვაო ბაზა და წყალქვეშა ნავების ბაზა, რომელიც ყველაზე უფრო ახლოს მდებარეობს ბრიტანეთის კუნძულებთან. ემდენში შეაქვთ მადანი ნორვეგიიდან და შვეციიდან. ემდენიდან გააქვთ ქვანახშირი. ემდენის გემსაშენი „ნორდზეეკერკე“ აშენებს წყალქვეშა ნავებსა და საგაჭრო გემებს.

ლონდონი, 13 დეკემბერი (საკდისი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ 11 დეკემბრის ღამით ინგლისის თვითმფრინავები თავს დაესხნენ დასავლეთ გერმანიას.

ამერიკის მძიმე ბომბდამშენები 13 დეკემბერს თავს დაესხნენ ჩრდილო-დასავლეთ გერმანიას.

მასობრივი ჩხრეკა გერმანელთა ყაზარმებში ლაიპციგში

სტოკჰოლმი, 12 დეკემბერი (საკდისი). შვედური გაზეთი „ოფტონტიდნინგენი“ იუწყება, რომ, მიღებული ცნობებით, 10 დეკემბერს გესტაპომ საყოველთაო ჩხრეკა მოახდინა გერმანელთა ყაზარმებში ლაიპციგში. ყაზარმებს ალყა შემოარტყეს პოლიციელთა რაზმებმა. გაზეთის სიტყვით, ჩხრეკა გამოწვეული იყო იმით, რომ ერთ-ერთ ყაზარმაში აღოვეს ანტიჰიტლერული ფურცლები, რომლებიც ურჩობისაკენ მოუწოდებდნენ გერმანელ ჯარისკაცებს.

მოკავშირეთა ავიაციის თავდასხმა სოფიაზე

ლონდონი, 11 დეკემბერი (საკდისი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, ოთხმოტორიანმა ბომბდამშენებმა „ლიბერეიტორმა“ თვის განმავლობაში მესამედ მოახდინეს თავდასხმა რკინიგზის სასაქონლო საგდურზე სოფიაში. ბომბდამშენებმა ჩამოჰყარეს დიდი ყალიბის ბომბები. მოწინააღმდეგის 40 ავიაგამანადგურებელთაგან, რომლებიც შესაბვედრად აფრინდნენ, ჩამოგდებულია 11. მოკავშირეთა ყველა თვითმფრინავი თავის ბაზებში დაბრუნდა.

სოფიის სასაქონლო სადგურზე თავდასხმის გარდა, მოკავშირეთა თვითმფრინავებმა გუშინ მოსპეს ან დააზიანეს გერმანელთა 178 ავტომობილი გზატკეცილზე კიტის მახლობლად, პესკარიდან (იტალიის აღმოსავლეთ სანაპირო) 10 მილის დაშორებით. მოპიკრეს ბომბდამშენებმა ჩივიტა ვეკიის ნავთსაყუდელში (რომის მახლობლად) ციცხლი გუთჩინეს 10 ათას ტონა წყალწყვის გემს.

ჟენევა, 12 დეკემბერი (საკდისი), გაზეთ „ბაზლერ ნახრიხტენის“ ცნობით, გუშინდელი თავდასხმა სოფიაზე ჩატარებულ იქნა უმთავრესად ამერიკული ოთხმოტორიანი ბომბდამშენების მიერ. თვითმფრინავები სამ ტალღად მიფრინაღდნენ დასავლეთიდან და, ალბათ, გაფრინდნენ სამხრეთ იტალიაში მდებარე აეროდრომიდან. დაბომბილ იქნა რკინიგზის სადგური და ქალაქის სხვა რაიონები.

ამერიკის თვითმფრინავთა თავდასხმა ემდენზე

ლონდონი, 12 დეკემბერი (საკდისი). ლონდონში ოფიციალურად გამოცხადებულია, რომ ამერიკის თვითმფრინავ „მერინავი სიმაგრეებისა“ და „ლიბერეიტორების“ დიდმა შენაერთებმა გუშინ მოახდინეს ბმ-ე თავდასხმა ემდენზე. თვითმფრინავებმა იერიში მიიტანეს სანავსადგურო და სხვა ნაგებობებზე.

საჰაერო ბრძოლებში მძიმე ბომბდამშენებმა ჩამოგდეს მოწინააღმდეგის 117 თვითმფრინავი, 21 თვითმფრინავი ჩამოგდეს ავიაგამანადგურებლებმა. ამ ოპერაციიდან არ დაბრუნებულა ამერიკის 17 ბომბდამშენი და 3 ავიაგამანადგურებელი.

ემდენი წარმოადგენს გერმანიის საზღვაო ბაზას და წყალქვეშა ნავების ბაზას, რომელიც ყველაზე ახლოს მდებარეობს ბრიტანეთის კუნძულებთან. ემდენში ნორვეგიიდან და შვეციიდან შემოაქვთ მადანი. ემდენიდან გააქვთ ქვანახშირი. გემთსაშენი „ნორდზეეკერკე“ ემდენში აშენებს წყალქვეშა ნავებსა და სავაჭრო გემებს.

11 დეკემბერს ღამით „მოსკიტო“ ბომბდამშენებმა თავდასხმა მოახდინეს სხვადასხვა ობიექტებზე დასავლეთ გერმანიაში.

ჰიტლერელები ითვისებენ ნორვეგიის ნაციონალური შემოსავლის 75 პროცენტს

ლონდონი, 13 დეკემბერი (საკდისი). ინგლისური ჟურნალი „ეკონომისტი“ სწერს, რომ ნორვეგიის ნაციონალური დოვლათის დირებულება 3-4 მილიარდი კრონით შემცირდა საქონლის მრავალრიცხოვანი რეკვიზიციების, გერმანელთა არმიის მოსამარაგებლად პირუტყვის დაკვლის, მოწყობილობის გაცვეთისა და სხვათა შედეგად.

ოკუპაციის სამი წლის განმავლობაში გერმანელებმა ნორვეგიაში ხელი იგდეს 9 მილიარდი კრონის სხვადასხვა საქონელი. გერმანია ყოველწლიურად ითვისებს ნორვეგიის წლიური ომამდელი ნაციონალური შემოსავლის დაახლოებით 3/4-ს.

წმენდა ჩრდილოეთ აფრიკაში

ლონდონი, 12 დეკემბერი (საკდისი). ალჟირის რადიო იუწყება, რომ საფრანგეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტმა დანიშნა ახალი გამწმენდი კომისია, რომელიც გამოიძიებს ჩრდილოეთ აფრიკაში ვიშის მოხელეთა საქმიანობას 1940 წლის დროებითი ზავიდან მოკავშირეთა გადმოსხმამდე.

სამხედრო მავთულხლართების აფეთქება გერმანიის რკინიგზაზე

სტოკჰოლმი, 13 დეკემბერი (საკდისი). შვედური გაზეთი „აფტონტიდნინგენი“ იუწყება, რომ, გერმანიიდან მიღებული ცნობებით, ამ დღეებში ნიურნბერგის მახლობლად დიდი სარკინიგზო კატასტროფა მოხდა. გერმანელთა სამხედრო მატარებელი, რომელიც ყუმბარებით იყო დატვირთული, სამგზავრო მატარებელს დაეჯახა. ყუმბარები აფეთქდა. ფიქრობენ, რომ მოკლულია რამდენიმე ასეული კაცი.

უცხოეთის ქრონიკა

ამერიკის ახალმა სატვირთო მფრინავმა ნავმა „მარსმა“ დაამთავრა პირველი რეისი, გადაკვარბა რა არსებულ რეკორდებს. იგი ძირდაუშვებლად გადაფრინდა ატლანტის ოკეანეზე, გაიარა რა 4.375 მილი მანძილი 13 ათასი გირვანქა ტვირთით.

მოქმედი არმია (რეჩიცის რაიონი). სურათზე: საბჭოთა კავშირის გმირი გენერალ-ლეიტენანტი ამხ. პ. ი. ბატოვი ბრძოლის ველზე წითელი დროშის ორდენს ამაგრებს მკერდზე პაპანინის სახელობის ტანკის მეთაურს ლეიტენანტ ამხ. ა. ი. პოდკოსოვს, რომელმაც თავი გამოიჩინა მდინარე დნეპრის გადალახვისას.

ფოტო ვ. ბირიუკოვისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

უკანასკნელი ცნობები

ჩუზელდნი კუნძულ სიცილიაზე ჩავიდა

ლონდონი, 13 დეკემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო ვაშინგტონიდან გადმოგვცემს, თეთრმა სახლმა გამოაცხადა, რომ, კაიროსა და თეირანში შემდგარი კონფერენციებიდან დაბრუნებისას, ა. შ. შტატების პრეზიდენტი რუზველტი კუნძულ სიცილიაზე ჩავიდა. მას ახლდნენ: მოკავშირეთა ჩრდილოეთ აფრიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი — გენერალი ეიზენჰაუერი, მოკავშირეთა ჩრდილო-დასავლეთ აფრიკის ავიაციის სარდალი — გენერალ-ლეიტენანტი სპაიკი, პრეზიდენტის შტაბის უფროსი — ადმირალი ლეგი, პრეზიდენტის სპეციალური თანაშემწე ჰარი ჰოპკინსი. რუზველტმა დაათვალიერა ამერიკელთა ნაწილი, რომელიც მონაწილეობდა სიცილიაზე წარმოებულ ბრძოლებში, და მედლებით დააჯილდოვა ამერიკის მეხუთე არმიის 6 ოფიცერი, რომლებმაც თავი ისახელეს ბრძოლებში. გარდა ამისა, რუზველტმა გასცა ბრძანება ამერიკის მეხუთე არმიის სარდლის, გენერალ კლარკის დაჯილდოების შესახებ გმირობისათვის, რაც მან გამოიჩინა 1943 წლის 14 სექტემბერს მოშდარ ბრძოლაში.

საომარი მოქმედება იტალიაში

ლონდონი, 13 დეკემბერი (საკდესი). მოკავშირეთა ჩრდილოეთ აფრიკის ჯარების შტაბი იუწყება, რომ ინგლისის მერვე არმიის ფრონტზე, მტრის შეუპოვარი წინააღმდეგობის მიუხედავად, განსორციელებულ იქნა შემდგომი წინსვლა. მერვე არმიის პოზიციები მდინარე მოროს ჩრდილოეთით გაფმჯობესებულ და გადართულებულ იქნა. მოწინააღმდეგის ძლიერი კონტრიერიშები მოგერიებულია. ამერიკის მეხუთე არმიის ნაწილები თავიანთ პოზიციებს ამაგრებდნენ და დაზვერვას ეწეოდნენ.

ცუდი ამინდი ხელუდავდა მოკავშირეთა ავიაციის მოქმედებას. მოწინააღმდეგის ავიაციას აქტივობა არ გამოუჩენია.

უნგრელი დიპლომატების ფლანქი მანევრები

სტოკჰოლმი, 13 დეკემბერი (საკდესი). სტოკჰოლმის ჟურნალისტურ წრეებში აღნიშნავენ, რომ შვეციის დედაქალაქში მყოფი უნგრეთის დიპლომატიური მისია, რომელსაც სათავეში უდგას უნგრეთის ახალი დესპანი ულეინ-რევიცკი, აქტიურ პროპაგანდისტულ საქმიანობას ანვითარებს. ულეინ-რევიცკის ინიციატივით ნოემბერში სტოკჰოლმში შექმნილ იქნა ეგრეთწოდებული „შვეციის საინფორმაციო ბიურო სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის საკითხებზე“, რომელიც ფაქტიურად უნგრეთის მისიის პროპაგანდისტულ ცენტრს წარმოადგენს.

თავის „ინფორმაციისა“ და სხვა მასალებში, რომლებიც ეგზავნებათ გაზეთებს, სააგენტოებს, უცხოელ კორესპონდენტებსა და მისიებს, „ბიურო“ გაძლიერებით უწევს პროპაგანდას ერთისა და იმავე აზრს, რომ უნგრეთი თითქოს „შემთხვევით“ ჩაება ომში ჰიტლერული გერმანიის მხარეზე, რომ თითქოს ეს მოხდა გერმანელთა მიერ უნგრეთის ოკუპაციის მუქარით და სხვ.

აქაურ ჟურნალისტურ წრეებში უნგრეთის მისიის ასეთ საქმიანობას განიხილავენ როგორც ახალ ტლანქ ცდას გაამართლოს უნგრეთის მმართველი ბოროვა და შეამციროს უნგრეთის პასუხისმგებლობა იმ დანაშაულთათვის, რაც მან ჩაიდინა როგორც ჰიტლერული გერმანიის სატელიტმა.

ალიო მაშაშვილი

ფიცი

თავები პოემიდან

მთაწმინდა

თავი პირველი

მიწისძვრას ჰგავდა ივნისის დილა,
როცა გაისმა ომის ქუხილი,
როცა ურჩხული გაეკრა ჩრდილად
მზეს და... ქვეყანამ შეკმნა წუხილი.

როცა მოვარდა, ზღვით თუ ხმელეთით,
არიელების ბრბო ათასგვარი,
და გადმოლახა სისხლის ღელეთი
ჩვენი სამშობლოს წმინდა საზღვარი.

ხალხში მტრისადმი იელვა რისხვამ,
ხმლებით, ხიშტებით, დადგა თბილისი,
მძვინვარე რისხვად გადიქცა მტკვრის ხმა,—
ქართლის ფანდურის ხმა უტკბილესი.

თითქო: ყრუ გმინვით იძრა მთაწმინდა,
შუბლი შეიკრა წვიმის ავდარით,
თითქო: ზარების ხმებით გაბრწყინდა
მამა-დავითის წმინდა საყდარი.

წამომდგარიყო ბრძენი აკაკი,
ცისკრად გაეღო კარნი კლდისანი,
გმირებს ეძახდა ხმების რაკრაკით,
ჩანგი ეჭირა, ვით შვილდისარი.

სცემდა ნაღარას: რა დროს ძილია,
კარს მოგვდგომია მტერი ვერანი,
გამოალვიძა ვაჟა, ილია,
ბარათაშვილმა შეხძრა მერანი.

მტერთა ვერავულ ზრახვის მგმობელი
ხალხის ხმა იყო გუგუნი კლდეთა...
მზის შარავანდით შუბლ-შემკობილი
გადმომდგარიყო ბელადის დედა.

გადმოჰყურებდა ცაფოთვარე თბილისს,
და სიყვარულის შუქით მოსავდა,
ლოცავს მოგავდა მისი ხმა ტკბილი,
ომში მიმავალ შვილებს ლოცავდა:

— დედა-შვილობავ! ისმინე ლოცვა,
უბრწყინვალესო დედო, მზიანო,
ხალხს აიცილე სისხლი და ხოცვა,
შვილები ალარ დამიზიანო.

ერთი ოჯახის, და ერთი მიწის,
ერთი ცხოვრების ბურჯი, კედელი, —
თექვსმეტი ძმაა შეკრული ფიცით,
დედათა ნათელთა გამომჭედელი.

ერთი კრემლშია, — ძმებში უფროსი,
იგი საქვეყნო საქმეს განაგებს,
დაამხო ტახტი სამეუფოსი,
ხალხებს აერთებს, აამხანაგებს.

დღეს გავაცილე უმცროსი ვაჟი,
პატარობითვე ხმლის შემმართველი,
არ წაიქცევა ლაჩრულად გზაში,
არ უღალატებს დედას ქართველი.

ყოველად ძლიერო! ჩვენდა მნათობად
მზე დიდებული ამოგეყვანა,
ნგრევას, სისხლის ღვრას, მუხანათობას
გადაარჩინე ჩვენი ქვეყანა!

ლოცავს ატანდა მტრედთა ქარავანს,
ხელნი აღეპყრო ორი კანდელი,
და ჩიხტაკოპის მზიან შარავანდს
დროშად ანთებდა კორიანტელი...

ცაში გამოჩნდა კრემლის არწივი,
მიმოარღვია ლრუბელთ იარა,
ელვას ეკვეთა ელვით, ქარწვიმით,
მთაწმინდის თავზე გადაიარა.

გახვრა, გახერა ცისფერი თალხი,
გზაზე ყორნების გუნდი ლხვებოდა,
საქართველოდან დაიძრა ხალხი,
მტკვრისპირ არწივის ლანდს მიჰყვებოდა.

სჭექდნენ: „ქართველო ხელი ხმალს იკარ“,
ქუხდა მიდამო, თრთოდნენ ველები,
მამაპაპურად ხელზე, ქარი-ქარ
სჭედდნენ, აწრთობდნენ ხმლებს ქართველები,

მთებში, ხევებში გრგვინვით შევარდნენ.
ახლოს ესმოდათ ხმა წინაპრების,
მიაპენებდნენ მერნებს-შევარდნებს,
ქარში მიაქროდნენ დროშის აფრებით.

გორი

თავი მეოთხე

გორს,—ქართლის დედას, გვირგვინად თავზე,
კოშკი რომ ადგას, მზის დასამგვანი, —
ბელადის ქობი, სიოცლეით სავსე,
მუხლზე დაესვა, როგორც აკვანი.

იგი, ვით შუქი, მნათობთა ზღვაში,
შუქი, მარადის ჩაუქრობელი —
გამოჭრილია ვარსკვლავის ქვაში,
კაცობრიობის თვალთა მპყრობელი.

მოდიან ირგვლივ, მოდიან შორით,
დღეა თუ ღამე, ზაფხულ-ზამთარი,
რომ ნახონ გორი, პატარა გორი,
ნატვრისთვალითით ქართლში ჩამდგარი.

რომ ნახონ ქობი, ნახონ აკვანი,
დაუკნობელი ხავსით და ყინგით, —
ქართლის ბავშვობის ხელში ამყვანი,
უკვდავ სიმღერის დამრწევი ჩანგი.

და ბრწყინავს ქობი,—მზის გულის ძგერა,
ბრწყინავს მზის ბუდე, მზის საწყაული,
პატარა ქობი, ქვითკირის კერა,
ხალხში იზრდება, ვით სასწაული.

ასე ბგონიათ: ცხოვრობენ შიგნით,
აი, ბუხარში კრთის ნაპერწკალი,
კარს გააღებს და პეპელა წიგნით
გამოფრინდება ბეჯი მურცხალი.

დასხექს, დასხეიოლებს ხმების ჭიკჭიკით,
ტოლ-მეგობრებთან სიმკვირცხლე მიაქვს,
გაინავარდებს და ასკინკილით
გაუკრდება ლიახვის ნიაკს...

ასეთი იყო, ივნისის დილას,
პატარა გორი, ლამაზი გორი,
როცა დაბერა ქარმა და ...ილად
ტონთიო-ციხეს დაეცა ქორი.

მოასწავებდა ამ ქვეყნად ავსა,
ციდან, ჩამქარალი ციცხლის რგოლებად —
ჩამოწყვეტილი ცოთმილთა მსგავსად,
ქარის და ქორის გადმოქრილება.

და იგრძნო გორმა მიწისძვრა ლიდი, —
ქვეყნის დამქცევი ომის მუქარა,
შფოთვამ შეაპყრო ცხოვრება მშვიდი,
და ხალხი რისხვამ აამეხარა.

ხშირად, მიწისძვრის ტალღათა შორის,
გორიც დარბევის მომსწრე ყოფილა,
ღღეს უფრო მწარედ შეძრწუნდა გორი,
მაგრამ მიწაზე არ დამხობილა.

დაძრულა ქარი ყორნების ლრუბლით,
ულრან სხვიებში მზე დანთებულა,
ქალაქს მრისხანედ შეეკრა შუბლი,
ცა დასაქუბად მომზადებულა.

ადიდებულა პატარა გორიც, —
ერთვის ხალხების ტალღათა ჩქერა,
ეშვება ნისლი, ეშვება თქორი,
და უფრო ღვიძს ბელადის კერა.

უცებ: ყიყინა ამოჰყვა ავდარს,
ვით შევარდენი, ფრთათა შრიალთ,
შორიდან, ციცკრის ამოსვლას ჰგავდა,
სხივზე აწყობილ ბანგთა ერიალი.

ახლოვდებოდა, ხმა უფრო ელერდა,
მტკვრის და ლიახვის ტალღების ტაშით, —
თექვსმეტმა გმირმა, დროშებთან ერთად,
შემოაფინა თექვსმეტი რაში.

აქ არის როხა, ხმლით, ჯაზაირით,
გმირ ძმათაშორის გმირი პირველი,
მტრის შესამუსრად, ქუხილნაირის,
მეხთა, მახვილთა გამომპირველი.

სწვავს უკრაინელს ბრძოლის წყურვილი,
თვალნი გაფრენას ლამობენ ბუდით,
შეეგარდენივით ფრთებ-აწურვილი
განზე ახურავს ბოგდანის ქუდი.

აგერ ქართველი! გმირი, სარდალი,
ხალხის რჩეული შვილიც ის არი,
გმირიც და რაშიც,—ელვის სადავით,
შემართულია, ვით შვილდისარი.

ჰშვენის ბაქიოლ გმირს ჯავარდენი,
ფარიც—შირაზის ვარდმოფენილი,
აგერ სომხეთს გმირ-შევარდენი
არარატიდან გადმოფრენილი.

ერთს,—ქერა-თმები გადმოუყრია, —
ბრგე მხარ-ბეჭამდე მიეკრთ მწვდობელ,
ერთს,—მოლდავური რაში უპყრია, —
დნესტრის—მდინარის გადამზტომელ.

აგერ ყაზახიც კუნთებ-მაგარი, —
ხულ ხხვა იერის, ხულ ხხვა კილოსი,
კარელ-ფინელი გმირიც აქ არი, —
ჯაკვი აცვია მარმარილოსი.

ქვეშისფერ რაშზე რომ ზის ჯიქივით, —
ის თურქმანია, ეხეე—ყირგიზი,
არის უზბეკიც, აგერ—ტაჯიკ
თოფ-იარაღში ბრწყინავს გიზგიზით.

ამხედრებულან, რისხვით მოცულან,
ამოიყარონ ჯავრი მტრისანი,
ძმებიდან კიდევ სამნი მოსულან,
ძმანი ბალტიის ნაპირისანი.

მოსულან ერთად ქარში, წვიმაში, —
როგორც კი ომის იელვა კვერთხმა,
რომ აქ, ბელადის აკვნის წინაშე
დედა-საშობლოს შეეფიცონ ერთხმად.

შეეფიცონ სტალინს,—ლენინის დროშას,
ერთხმად უმღერონ და უღალადონ,
რომ ბრძოლის დროსაც, ვით შრომის დროსა,
ძმებმა ერთმანეთს არ ულალატონ.

თექვსმეტი გმირი ხმალში, ხროლაში,
ერთი ოჯახის მკვიდრი შვილია,
არ დამარცხდება მტერთან ბრძოლაში
მშობელ დედისგან დალოცვილია.

ქობთან ჩამოხტნენ, გმირს მიჰყვა გმირი,
და მოკრძალებით შედიან შიგნით,
რომ ერთი გულით და ერთი პირით
აქ ფიცი დასდონ, დასწერონ წიგნი.

ზრაქფორების საზამთრო რემონტი ნარმაგებით მიმდინარეობს

ტბილისი („კომუნისტის“ საკ. კორრ.). ტბილისის პირველი მტს-ის მოშაკები ახალ წარმატებებით ეგებებენ ამხანად სტალინის ისტორიულ მოწოდებას. მტს-ის (დირექტორი ვ. კუპრეიშვილი) სატრაქტორო სამუშაოთა 1943 წლის გეგმა 119,7 პროცენტით შეასრულა. მტს-ის სხვა სამუშაოებთან ერთად გადაეარბებით შეასრულა საქონლის საკვების დასილოსების და სოიის ლეწვის გეგმები.

სატრაქტორო სამუშაოთა შესრულებაში განსაკუთრებით ისახელა თავი მეოთხე სატრაქტორო ბრიგადამ (ბრიგადირი ი. სოლომონია). ამ ბრიგადამ წლიური გეგმა 144,3 პროცენტით შეასრულა და დაზოგა 1.361 კილოგრამი საწვავი. საუკეთესოდ იმუშავეს ტრაქტორისტებმა: ფუხლული წულაიამ, შოთა ოდიშარიამ და მაჭსიმე გულაიამ, რომლებიც კარგი მუშაობისათვის სსრ კავშირის მეწესახეობის მიერ დაჯილდოებულნი არიან ნიშნით „სოციალისტური სოფლის მეურნეობის წარჩინებული“. ტრაქტორისტმა ფუხლული წულაიამ წლიური გეგმა 205 პროცენტით შეასრულა, შოთა ოდიშარიამ—236 პროცენტით, მაჭსიმე გულაიამ—173,8 პროცენტით. ამასთან მათ დაზოგეს საწვავი და ტრაქტორებიც მოვლილი აქვთ. გეგმების შესრულებაში ასევე ისახელეს თავი გივი ფალავამ, რომელმაც გეგმა 233 პროცენტით შეასრულა, გერასიმე ჯღამაძემ (გეგმა შეასრულა 206 პროცენტით), ახალგაზრდა ტრაქტორისტმა ქალებმა გული ესართიამ და ძაბა მახარაძემ.

მტს-მა ვადაზე ადრე დაამთავრა 1943 წლის მეოთხე კვარტალის ტრაქტორების საშემოდგომო-საზამთრო რემონტი. კარგად მუშაობს მტს-ის სახელოსნო. აქ დიდ ინიციატივასა და მონდომებას იჩენენ სამრეწველო ნაწილების აღგილზე გამოძესნისათვის. სახელოსნოში წელს დამზადდეს და აღადგინეს 13.636 მანეთის სათადარიგო ნაწილები, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 6.000 მანეთისა.

მაქსიმალურად დავზოგოთ ელექტროენერგია

ზიანთურა („კომუნისტის“ საკ. კორრ.). ელექტროენერგიის მომჭირნეობით ხარკეცა ომიანობის დროის მტკაცე კანონია. ბითუმრის მარგანტრესტის მაღაროებში და გამამდიდრებელ ქარხნებში სერიოზული ყურადღება ექცევა ამ უბანს. ლენინის სახელობის ზარგანეცის გამამდიდრებელ ქარხანაში 320 კილოვატამპერიანი ტრანსფორმატორი შეიცვალა 180 კილოვატამპერიანით, ასევე მოხდა ჭიქაურისა და ჭარბელის წყალსადენებშიც ასეთი ღონისძიებანი გატარდა სხვა ქარხანა-მაღაროებშიც და, ამგვარად, უკანასკნელ სამ თვეში 1.315 კილოვატამპერიანი ტრანსფორმატორები 965 კილოვატამპერიანით შეიცვალა. ეს ელექტროენერგიის დიდძალ ეკონომიას იძლევა.

სტალინის სახელობის მაღაროში, პეროშინდის გამამდიდრებელ ქარხანაში მძლავრი ელექტროძრავები მცირეძალიანით შეიცვალა, სტალინისა და ლენინის სახელობის მაღაროებში ტრანსფორმატორები მოდმეზად იყო ჩართული, უკანასკნელად ხდება მათი გამორთვა, როცა საჭირო არ არის. ამის შედეგად საგრძნობი რაოდენობით შემცირდა ტონა მარგანეცის გამოღებაზე ან გამდიდრებაზე დახარჯული ელექტროენერგია. მაგალითად, თუ აგვისტოში ტონა მარგანეცის გამოღებაზე იხარჯებოდა 4,48 კილოვატსაათი ელექტროენერგია, ოქტომბერ-ნოემბერში დაიხარჯა 4,32 კილოვატსაათი. უფრო საგრძნობია ტონა მარგანეცის გამდიდრებაზე დახარჯული ელექტროენერგიის მაჩვენებელი. აგვისტოში ერთი ტონა მარგანეცის გამდიდრებაზე იხარჯებოდა 16,68 კილოვატსაათი ელექტროენერგია, სექტემბერში — 13,29 კილოვატსაათი, ოქტომბერში — 12,5 კილოვატსაათი, ნოემბერში — 11,57 კილოვატსაათი.

მიუხედავად იმისა, რომ ელექტროენერგიის გადახარჯვა ყოველთვიურად მცირდება, ჯერ კიდევ მაინც ადგილი აქვს ელექტროენერგიის ზედახარჯვას. მარგანტრესტის ქარხანა-მაღაროებმა ოქტომბერში 45.500 კილოვატსაათი ელექტროენერგია გადახარჯეს, ხოლო ნოემბერში — 45.700 კილოვატსაათი. ნოემბერში ზზოლოდ ორჯონიკიძისა და კაგანოვიჩის სახელობის მაღაროებმა დაზოგეს ელექტროენერგია. მარტო ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს კოლექტივმა 14.600 კილოვატსაათი ელექტროენერგია დაზოგა. ასე შეიძლება ომუშაოს ყველა მაღაროს, ყველა ქარხანამ.

ჯ. ბიოკაძე

„ორიოლის ბრძოლა“

თბილისის წიგნის მაღაზიებში იყიდება „გორბაჩოლიტიზდატის“ მიერ გამოცემული ბროშურა: პოლკოვნიკ ა. კარპოვის „ორიოლის ბრძოლა“. წიგნი შესდგება 4 თავისაგან: მოსკოვის სალუტი ორიოლისა და ბელგოროდის გმირებს; ორიოლის პლაცდარმი და ჰიტლერული სარდლობის გეგმები; გერმანელების 1943 წლის ზაფხულის შეტევის ჩაშლა; წითელი არმიის შეტევა. წიგნს დართული აქვს რუკა და ჩრავალი ფოტოსურათი. წიგნი შეიცავს 30 გვერდს და ღირს 30 კაპიკი.

სამშაბათს, 14 დეკემბერს, მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის დარბაზში (რუსთაველის პროსპ. № 33/35, შესასვლელი მარცხნივ) შესდგება აკადემიკოს ბ. დ. გრეკოვის ლექცია, თემა: **„კიევის ისტორიული მნიშვნელობა“.**

ლექციის დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ბილეთები იყიდება ფილარმონიის სალაროში (რუსთაველის პროსპ. № 11) დილის 11-დან—3-ს-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე, ლექციის დღეს — მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის შესასვლელთან.

ლექციები ჯ მოხსენებები

15 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პარტკაბინეტში (ლენინის ქ. № 41) შესდგება ამხ. სულეიმანის ლექცია რუსულ ენაზე, თემა: **„ძირეული გარდატეხის წელი ომის მსვლელობაში“.**

პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე ბ. ჯიბლაძე

განსახკომის საავიაციო ტექნიკუმის პედპერსონალი და მუშა-მოსამსახურენი იუწყებიან **არტემ გერასიმეს-ძე ჯიბუტის** გარდაცვალებას. მანაშვ. 14, 15/XII, ლელაშვილის, 8. გამოსვ. 16/XII, 5½ ს. 1754

ძმები შალვა, მიშა, დები თამარ, დოდო ჩხენკელები, დეიდები ვერიჩკა, კინია, ნუცა, ბიძა სეფე თავზარაშვილები იუწყებიან **მერი მიხეილის-ასულ ლოლიძრიძის** გარდაცვალებას. გამოსვ. 14/XII, 4 ს. ენგელსის, 25. 1752

შვილები კონსტანტინე, მარო, სონია, იუსტინა, ნინო, თამარ, ნადო, ლადო იუწყებიან **თეკლე (ეკატერინა) ჭიჟინაძის** გარდაცვალებას. 1753

აკად. ნ. მარის სახ. ენის ინსტიტუტის თანამშრომლები იუწყებიან **ოიოსებ კიზირიას** გარდაცვალებას. 1755

დაკარგულია თბილისის ლენინის სახ. რაიონის I უბნის სახ. სასამართლოს კუთხის შტამპი. ჩ. ბ. 1750

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის—3-62-26, პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილის—3-63-03, პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოსი—3-06-88; განყოფილებებისა: პარტიულისა და პროპაგანდის —3-81-84 სოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო—3-80-83 სამხედრო, განათლება-ჯანმრთელობის, ლიტერატურისა და ხელოვნების—3-80-84, წერილების—3-73-24, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გაფორმებლობის—3-51-81, სტამბის დირექტორის —3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 91.800 ფე 9513

აგიტატორისა და პროპაგანდისტის დასახმარებლად

ჰიტლერიზმის პოლიტიკური ვარაუდების ჩაფუშვა

უკანასკნელი თვენახევრის განმავლობაში უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის ამბები მოხდა. მოხდა ის, რისაც ყველაზე მეტად ეშინოდათ გერმანელ ფაშისტ ყაჩაღებს. გრანდიოზული შეტევის ფონზე, რომელსაც ჯერი ნიელი არმია ახორციელებს, საბოლოოდ შემჭიდროვდა სამი უდიდესი ძალა—სსრ კავშირი, ამერიკის შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთი თავის გადაწყვეტილებაში მიაყენონ საერთო მტერს **ერთობლივი, შეთანხმებული** დარტყმები, რომლებმაც უნდა გამოიწვიონ მისი გარდუვალი განადგურება. სხვანაირად რომ ვთქვათ, გამოკვეთილია ანტიჰიტლერული ბლოკის ერთიანი სტრატეგია, რისაც ასე ეშინოდა აგრესორთა ბლოკს თავისი ატამანის ჰიტლერის მეთაურობით. სამი სახელმწიფოს დეკლარაცია, რომელიც მიღებულია თეირანის კონფერენციაზე 1943 წ. 1 დეკემბერს